

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაცვის ფარგლები საქართველოში,
საქართველოსა და ICSID-ის პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

ლევან ჭანკოტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ალაპიშვილი(დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2016 წელი.

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა ----- ლევან ჭანკოტაძე 01.07.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთ პრობლემური საკითხის, უცხოელი ინვესტორების ინვესტიციების დაცვის სამართლებრივი განხილვა, პრობლემების იდენტიფიცირება და შესაძლო გამოსავლების ძიება.

დასმული საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც გააქტიურებულ საინვესტიციო გარემოსთან მიმართებით, საქართველოს პრაქტიკა მწირია და საჭიროებს დამატებით შესწავლასა და გაანალიზებას, ასევე თანამედროვე საინვესტიციო მიდგომებთან ადაპტირებას. საკვლევი საკითხის განხილვას ვიწყებთ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოწოდებით საინვესტიციო საქმიანობის შესახებ, რათა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას, თუ რას ნიშნავს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. ზოგადი მიმოხილვიდან კი ლოგიკური მსჯელობით გადავდივართ პრობლემური საკითხების დასმაზე, რომლებიც გამომდინარეობს უშუალოდ არსებული შემთხვევებიდან. მესამე თავში, პრაქტიკის გაანალიზებით, მათ შორის ქართული და უცხოური კანონმდებლობის შედარების გზით, შემოთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის ჩემეული გზები.

ნაშრომი სტრუქტურულად დაყოფილია შემდეგნაირად: იგი შედგება შესავლისაგან, სადაც დასმულია ძირითადი პრობლემური საკითხები, ძირითადი ნაწილისაგან, სადაც ისინი უშუალოდ არის განხილული და დასკვნისაგან, სადაც ვაჯამებთ ნაშრომში დასმულ საკითხებს და მათზე მსჯელობის შედეგებს, ასევე დასკვნაში გთავაზობთ პრობლემის გადაჭრის ჩემეულ ხედვას. ნაშრომს ასევე ახლავს დანართები, სადაც მოყვანილია მცირე ინტერვიუ, პრობლემის აქტუალურობის უკეთ წარმოსაჩენად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. ინვესტიციების დაცვა. ინვესტორი.

Abstract

The present thesis deals with one of the problematic and important issues in Georgian investment legislation and relations - securing investment and legal interests in hosting country.

Issue is relevant as long as foreign direct investment is major contributor in Georgian economics and it is poorly secured and regulated by national legislation. The aim of this work is to find ways to overcome difficulties and researching what changes in the legislation would be advisable. We begin with general discussion of the research issues by providing information to the reader on general idea of foreign direct investment. From general overview we move to logically posing the particular problems, which are derived from the actual cases. The last part is about discussion the ways of solving the problem.

The thesis consists of three parts. First part is an introduction, which sets the basic issues about the problem mentioned above. This problem is discussed and analyzed in the second part of the thesis. In conclusion we sum up the issues raised in the discussion and its results. In addition, we present our opinions and recommendations for solving the problem. Thesis also includes a brief interview with Georgian national investment agency employee and representative of civil movement protesting major investment projects in Georgia it confirms the urgency of the problem mentioned in the thesis.

Key words: Foreign direct investment. Protection of investments. Investor.